თავი 12

დიფერენცირებული აღრიცხვა და რელევანტურ დანახარჯთა კალკულაცია

1. დაალაგეთ თანმიმდევრობით ალტერნატიული არჩევანის ანალიზის ეტაპები:

- შესაძლო ალტერნატიული გადაწყვეტილების შერჩევა;
- ალტერნატიული გაზომვა და შედეგების შეფასება;
- პრობლემის განსაზღვრა;
- გადაწყვეტილების მიღება;
- არარაოდენობრივი შედეგების გამოყოფა და შეფასება.

2. დიფერენცირებულ დანახარჯთა აღრიცხვის სისტემა გამოიყენება:

ა. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას;
ბ. ალტერნატიული არჩევანის დროს გადაწყვეტილების მიღებისას;
გ. ბიუჯეტის შედგენისას.

3. რაც უფრო დიდ პერიოდს შეეხება გადაწყვეტილების მიღება, დიფერენცირებული მუხლების რაოდენობა:

ა. მით უფრო იზრდება;
ბ. მით უფრო მცირდება
გ. არ არის დამოკიდებული პერიოდზე.

4. თუ დანახარჯის ოდენობა იცვლება გადაწყვეტილების მიღების შედეგად, მაშინ ეს დანახარჯი:

ა. არელევანტურია;
ბ. არაეფექტურია;
გ. რელევანტურია.

1. რელევანტური არ შეიძლება იყოს:

ა. მომავლის დანახარჯები;
ბ. წარსულის დანახარჯები;
გ. თვითღირებულების დანახარჯები.

2. თუ ორი შესაძლო ვარიანტიდან აირჩა ერთი, მაშინ მეორე, უარყოფილი ვარიანტის ზღვრული მოგება წარმოადგენს:

ა. აღმოფხვრად დანახარჯს;
ბ. შეუქცევად დანახარჯს;
გ. ალტერნატიულ დანახარჯს.

3. საქმიანობის შეჩერების შედეგად დანახარჯის თავიდან აცილება წარმოადგენს:

ა. ალტერნატიულ დანახარჯს;
ბ. არარელევანტურ დანახარჯს;
გ. აღმოფხვრად დანახარჯს.

4. შეუქცევადი დანახარჯი:

ა. მომავლის დანახარჯია;

ბ. წარსულის დანახარჯია;

გ. მიმდინარე დანახარჯია.

5. შეუქცევადი დანახარჯი არის:

ა. დანახარჯი, რომელიც გარდაუვლად უნდა დაიხარჯოს მიმდინარე პერიოდში;

ბ. წარსულის დანახარჯი, რომელიც რელევანტური არ არის გადაწყვეტილებისათვის;

გ. დანახარჯი, რომელზეც გავლენას არ ახდენს საქმიანობის დონის ცვლილება.

6. გარდაუვალი დანახარჯი:

ა. მომავლის დანახარჯია;

ბ. წარსულის დანახარჯია;

გ. მიმდინარე დანახარჯია.

7. თუ არჩეული ალტერნატივისათვის საჭირო მასალა მარაგში არსებობს, რადგანაც გამოიყენება საწარმოო პროცესებში, მაშინ რელევანტურია:

ა. ჩანაცვლების ღირებულება;

ბ. წმ. სარეალიზაციო ღირებულება;

გ. შესყიდვის ღირებულება.

8. თუ არჩეული ალტერნატივისათვის საჭირო შრომითი რესურსი საწარმოში არსებობს, მაშინ რელევანტური დანახარჯი არის:

ა. პერსონალის დაქირავების ხარჯი;

ბ. ხარჯი არ არის;

გ. ზენორმატული დროის ანაზღაურების ხარჯი.

13. მუდმივი ზედნადები ხარჯი:

ა. რელევანტურია – თუ ის იცვლება გადაწყვეტილების მიღების შედეგად;

ბ. რელევანტურია – თუ რჩება უცვლელი;

გ. არასოდეს არის რელევანტური.

14.თუ არჩეული ალტერნატივის გამო არსებული დანადგარი აღარ იქნება გამოყენებული და მოხდება მისი გაყიდვა, მაშინ რელევანტური შეიძლება იყოს მისი:

ა. რეალიზაციიდან მისაღები შემოსავალი;

ბ. ჩანაცვლების ღირებულება;

გ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ამოცანა 1

ფირმა ამჟამად იხილავს შეკვეთას, რომელიც საჭიროებს 1.000კგ ნედლეულს. არსებობს ორი შესაძლო სიტუაცია:

(ა) ამ მასალას რეგულარულად იყენებენ ფირმაში სხვადასხვა პროდუქტისათვის. არსებული მარაგი შეადგენს 10000 კგ-ს, რომელიც ნაყიდია კგ 1.80 ლ-ად. მარაგის ჩანაცვლების ფასი ამჟამად არის კგ 2.00ლ

გაიანგარიშეთ:

მასალის ერთი კგ-ის რელევანტური დანახარჯი;

(ბ) კომპანიას აქვს 2.000 კგ მარაგი, რომელიც ნაყიდია ორი წლის წინ, კგ 1.50ლ-ად, მაგრამ უკვე ფირმის არცერთი პროდუქტისათვის აღარ გამოიყენება. მასალის მიმდინარე საბაზრო ფასი არის 2.00ლ მაგრამ კომპანიას შეუძლია მისი გაყიდვა კგ 0.80ლ-ად.

გაიანგარიშეთ:

მასალის რელევანტური დანახარჯი;

ამოცანა 2

შ.პ.ს. ძ ამჟამად ადგენს შეკვეთის ფასს, რომელიც საჭიროებს 20 სთ კვალიფიციური და 50 სთ ნახევრადკვალიფიციური შრომის გამოყენებას.

კომპანიაში მომუშავე ოთხ კვალიფიციურ მუშას საათში 15ლ-ს უხდიან, 450ლ-ის ოდენობის კვირის მინიმალური ხელფასის პირობებში. ამჟამად ისინი კვირაში 24 საათს მუშაობენ.

ნახევრად კვალიფიციური სამუშაო ძალა ამჟამად სრულად გამოიყენება. თითოეულ მათგანს საათში 10ლ-ს უხდიან, ხოლო ზენორმატული სამუშაოსთვის – ამდენს და ნახევარს. შესაძლებელია დამატებითი მუშების დაქირავება საათში 12ლ-ად.

გაიანგარიშეთ:

რელევანტური შრომითი დანახარჯი შ.პ.ს. ძ–ის შეკვეთისათვის;

ამოცანა 3

დანადგარს რომელიც თავდაპირველად 80000ლ ღირდა, აქვს შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადა 10 წელი და ცვეთა ერიცხება წლიური 8000 ნორმით. ამჟამად დანადგარის წმინდა საბალანსო ღირებულება არის 40000 ლ ხოლო წმინდა შემოსავალი რეალიზაციიდან, თუ დღეს გაიყიდება, შეადგენს 25000 ლ-ს, ხოლო მანქანა-დანადგარის გამოყენების შედეგად მიღებული შემოსავალი იქნება 20000 ლარი.

განსაზღვრეთ:

არის თუ არა ამ დანადგართან დაკავშირებული დანახარჯები რელევანტური. თუ ფიქრობთ, რომ ეს დანახარჯები რელევანტური არ არის, დაასახელეთ არგუმენტები.

ამოცანა 4

ახალი კონტრაქტი საჭიროებს 150 ტონა ლითონის გამოყენებას. ეს ლითონი რეგულარულად გამოიყენება ფირმის ყველა პროექტში. ამ მომენტისათვის არსებობს მოცემული ლითონის მარაგი 100 ტონა, რომელიც ნაყიდია ტონა 200ლ-ად. მისი ამჟამინდელი შესყიდვის ფასი არის ტონა 210ლ.

გაიანგარიშეთ:

რამდენი დანახარჯი უნდა იქნეს გათვალისწინებული ახალ კონტრაქტში ლითონისთვის

ამოცანა 5

კონტრაქტისთვის საჭიროა 100სთ კვალიფიციური შრომა. ამ მომენტისათვის კვალიფიციური სამუშაო ძალა სრული დატვირთვით მუშაობს და მოცემული კლიენტის კონტრაქტის შესასრულებლად უნდა გადმოიყვანონ სხვა პროდუქტის წარმოებაზე დასაქმებული მუშები. სხვა პროდუქტის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

	ლ/ერთეული
სარეალიზაციო ფასი	60
პირდაპირი მასალები	10
პირდაპირი შრომა	1 სთ 10ლ/სთ
ცვლადი ზედნადები ხარჯები	15
მუდმივი ზედნადები ხარჯები	15

რომელი პროდუქტის წარმოებაზეც არ უნდა იყვნენ დასაქმებულნი მუშები, კვალიფიციური მუშების ანაზღაურების განაკვეთი უცვლელია.

გაიანგარიშეთ:

რამდენია კვალიფიციური შრომის რელევანტური დანახარჯი კონტრაქტისთვის